



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თბილსრესი“

„თბილსრესი“ (სააქციო საზოგადოება), თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი ბაზისური თბოელექტროსადგური. მდებარეობს გარდაბანში, თბილისიდან 36 კმ-ზე. „თ.“ კონდენსაციური ტიპისაა. მთელი სიმძლავრე ემსახურება ელექტროენერჯის წარმოებას, ხოლო თბოენერჯიას უმნიშვნელო რაოდენობით გამოიმუშავებს. შედგებოდა 10 ენერგობლოკისაგან, ამჟამად მის შემადგენლობაშია 2 მოქმედი ენერგობლოკი. სადგურის დადგმული სიმძლავრეა 272 მეგვტ (2013 წ. 1 იანვრის მდგომარეობით).

1958 წ. მაისში საკავშ. მთავრობამ გადაწყვიტა თბილ. მახლობლად ელექტროსადგურის აშენება. 1958 წ. ივლისში საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ელექტროსადგურის ასაშენებლად გამოიყო მიწის ნაკვეთი მცხეთის რ-ნში, ზაჰესთან ახლოს, მაგრამ იმის გამო, რომ სადგურის ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ მოსალოდნელი იყო დედაქალაქის ეკოლ. დაბინძურება, მთავრობამ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და 1959 წ. მაისში სადგურის ასაშენებლად საბოლოოდ შეარჩია რუსთავი (გარდაბნის რ-ნი).

„თ-ის“ მშენებლობა დაიწყო 1960 წ. მარტში. პირველი სამი ენერგობლოკი 1963-65 ამოქმედდა, რ-თა სიმძლავრე 450 (3×150) ათ. კვტ შეადგენდა, ხოლო 1967-72 მათ დაემატა კიდევ 800 (5×160) ათ. კვტ სიმძლავრის ხუთი ბლოკი. თბოელექტროსადგურის ამოქმედება ახ. ნაბიჯი იყო საქართვ. ელექტროენერჯეტ. განვითარებაში. მისმა ამუშავებამ ელექტროენერჯის წარმოებაში მკვეთრად შეცვალა ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოსადგურების სიმძლავრეებს შორის მანამდე დამყარებული პროპორცია. თუ 1963 თესების ხვ. წ. ელექტროენერჯის საერთო გამოიმუშავებაში იყო 36,9%, 1970 წ. - 70,5%,

1975 წ. – 77,9%-მდე გაიზარდა. აქედან ძირითადი წილი „თ-ზე“ მოდიოდა. თავისი არსებობის ისტორიაში „თ-მა“ ყველაზე მეტი ელექტროენერგია – 7763 მლნ. კვტ.სთ –1977 წ. გამოიმუშავა.

1990–94 ჩატარდა “თ-ის” რეკონსტრუქცია-გაფართოება. ამის შედეგად ექსპლუატაციაში შევიდა ახალი თაობის გეკრიზისული პარამეტრებით მომუშავე მე-9 (1991) და მე-10 (1994) ენერგობლოკები, თითოეული 300 მეგვტ სიმძლავრის. 2000 წლის აპრილში აღნიშნული ბლოკები შეიძინა ამერ. კომპანიამ „ეი-ი-ეს-მა“ და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა შპს „ეი-ი-ეს-მტკვარი“. 2004-იდან მისი მეპატრონეა რუს. კომპანია „რაო-ე-ესი“ (შემდგომში „ინტერრაო“), რ-იც ფუნქციონირებს შპს „მტკვარი-ენერგეტიკის“ სახელწოდებით.

1998 წ. მაისიდან თბილ. სახელმწ. რაიონული ელექტროსადგურის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა „თ.“ მის შემადგენლობაში დარჩენილი რვა ბლოკიდან მთლიანად ამორტიზებულია ექვსი და შედარებით ქმედითუნარიანია ორი (N3, N4).

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში №10 ბლოკის მწყობრიდან გამოსვლისა და სანჯავის (ბუნებრივი გაზისა და მაზუთის) ქრონიკული დეფიციტის გამო სადგურში მკვეთრად იცვლებოდა ელექტროენერგიის გამომუშავება. „თ-ის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია (მლნ. კვტ.სთ): 1965 წ.-1447,0; 1970 წ.-4946,3; 1975 წ.-7723,9; 1980 წ.-6734,7; 1985 წ.-6948,9; 1990 წ.-5578,1; 1995 წ.-699,2; 2000 წ.-1520,1; 2005 წ.-292,1; 2010 წ.-90,6; 2012 წ.-1106,2; 2013 წ. – 816,8. „თ-ის“ წილი საქართველო ელექტროენერგიის საერთო გამომუშავებაში შეადგენს 8,3 %-ს, ხოლო თბოსადგურებში – 48,1%-ს (2013).

„თ-ის“ ქმედითობა მნიშვნელოვნად განაპირობებს საქართველოს ელექტროენერგით უზრუნველყოფის დონეს, ამიტომ მისი ნორმალური მუშაობა ქვეყნის ენერგოსაფრთხოების მნიშვნელოვანი პირობაა.

დ. ჩომახიძე
